ხელშეკრულება #2

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

მარტყოფი 5 იანვარი, 2015 წელი

ერთის მხრივ, სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის #1 საჯარო სკოლა (შემდგომში – მყიდველი), დირექტორი ქეთევან ჩინაშვილი სახით და მეორეს მხრივ, ი/მ „თეონა ახალკაცი" (შემდგომში – გამყიდველი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის #1 საჯარო სკოლის ბიუჯეტის სახსრებით სასკოლო ავეჯის (კარადა-ზაინდერის 3 ცალი და მერხის თავი 24 ცალი) შეძენა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ერთ პირთან მოლაპარაკებით.

## 2.შესყიდვის ობიექტი

2.1.შესყიდვის ობიექტია სასკოლო ავეჯის შეძენა (CPV კოდი - 39100000).

## 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2.შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა **1434 (ერთიათას ოთხას ოცდათოთხმეტი)** ლარი.

## 4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1.გამყიდველი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს მყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

## 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერიდან ხელშეკრულების დასრულებამდე.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: სოფ. მარტყოფი.

5.3.შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, გამყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1.შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება მყიდველისა და გამყიდველის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

## 7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. გამყიდველთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშის წესით.

7.3.ანგარიშსწორება მყიდველის მიერ მოხდება მიღება ჩაბარების აქტის გადაცემისა და ელექტრონული ზედნადების აქტივირების შემდეგ.

7.4. ანაზღაურების ადგილია: გარდაბანი.

## 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. მყიდველს უფლება აქვს:

- მოითხოვოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

მყიდველი გამყიდველი

8.2. მყიდველი ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება გამყიდველთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. გამყიდველს უფლება აქვს:
– მოსთხოვოს მყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. გამყიდველი ვალდებულია:
– მიაწოდოს მყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი, დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

### 9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1.მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2.თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3.ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5.ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

### 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2015 წლის 31 იანვრამდე.

### 11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### 12. ფორს-მაჟორი

12.1.მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2.თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის გარეშე.

მყიდველი გამყიდველი

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

### 13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1.ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### 14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1.მყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და მყიდველის მოთხოვნებთან.
14.2.ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს (მარტყოფის #1 საჯარო სკოლის დირექტორი).
14.3.შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ მყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს გამყიდველს წუნდების მიზეზების მითითებით.
14.4.გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება გამყიდველს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### 15. სხვა პირობები

15.1.მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
15.2.არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
15.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

### 16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

მყიდველი:
„მარტყოფის #1 საჯარო სკოლა"
მისამართი: გარდაბანი, სოფ. მარტყოფი
ტ. 5 77 97 05 37

მფო: ______________________
ა/ა ______________________
ს/კ 226527595

დირექტორი

ქეთევან [illegible]

მყიდველი ______________________

გამყიდველი:
ი/მ „თეონა ახალკაცი"
ხაშური, განთიადის ქ # 15
ტ. 551 099 337
სს „ლიბერთი ბანკი"
მფო: LBRTGE22
ა/ა GE03LB0112149414002000
ს/კ 57001007425

ი/მ

თეონა ახალკაცი

გამყიდველი ______________________